მედიაწიგნიერების და დეზინფორმაციის ალყების კვლევა

MDF
მედიის განვითარების ფონდი
მითების დეტექტორი

მედიაწიგნიერების და დეზინფორმაციის ალქმების კვლევა

MDF
მედიის განვითარების ფონდი
მითების დეტექტორი

ავტორი:
თამარ კინწურაშვილი

მონაცემების დამუშავება:
მაკო ცუცქირიძე, სალომე გიუნაშვილი

ინტერვიუერები:
ლუსინე პიჩიკიან *ახალქალაქი*, ნერიმან აშლარბა *ბათუმი*, ლალე სოფიევა *გარდაბანი,*
სალომე გუგუჩია *ზუგდიდი*, ანა ებანოიძე *თბილისი*, ელენე ტატიშვილი *თელავი*,
ანა გლუნჩაძე *ქუთაისი*

ყდის დიზაინი:
მარიამ ბულია

დიზაინი:
ბესიკ დანელია, IBDESIGN

კვლევა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერილი პროექტის „ახალგაზრდების მედიაწიგნიერების ლაბორატორია პასუხისმგებლიანი მედია მოხმარებისთვის“ ფარგლებში მომზადდა. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ს საელჩოს პოზიციას.

© 2022, მედიის განვითარების ფონდი

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.MILLAB.GE

შესავალი

კვლევის მიზანი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და გეოგრაფიულ არეალში მედიის მოხმარების ჩვევების, ასევე საქართველოში გავრცელებულ სხვადასხვა დეზინფორმაციასთან და მანიპულაციურ ნარატივთან მიმართებით საზოგადოების მოწყვლადობის შესწავლა იყო.

კვლევის პირველი ნაწილი მედიაწიგნიერების კომპეტენციებს, კერძოდ მედიის მოხმარების ჩვევებს, ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირებისა და გადამოწმების უნარებს ეხება, ხოლო მეორე ნაწილი – 3 თემატურ საკითხთან (უკრაინაში რუსეთის ინტერვენცია, საქართველოში მიმდინარე მოვლენები/იდენტობა და ჯანმრთელობა) მიმართებით დეზინფორმაციის აღქმებს.

კვლევა საქართველოს 7 ქალაქში – ახალქალაქი, ბათუმი, გარდაბანი, ზუგდიდი, თბილისი, თელავი და ქუთაისი – სექტემბერში ჩატარდა, რა დროსაც პირისპირ ინტერვიუს ფორმით 140 რესპონდენტი გამოიკითხა.

მეთოდოლოგია

კვლევა თვისებრივი მეთოდით ინტერვიუს ფორმით ჩატარდა და როგორც ღია, ასევე სტრუქტურირებულ კითხვებს მოიცავდა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე კითხვები 2 ბლოკად დაიყო:

I. მედიის მოხმარების ჩვევები და უნარები.
II. დეზინფორმაციის აღქმები.

კითხვების პირველი ბლოკი შეეხებოდა ინფორმაციის წყაროებს და მათდამი დამოკიდებულებას, ასევე ინფორმაციის გადამოწმების ჩვევებსა და უნარებს, შეცდომებზე რეაგირების პრაქტიკას. მეორე ნაწილი კი, რომელიც დეზინფორმაციის აღქმებს შეეხებოდა, ძირითადად 3 თემატურ კატეგორიად დაიყო, რა დროსაც რესპონდენტენტებს თავად უნდა დაესახელებინათ ის ყალბი ინფორმაცია, რომელიც მათ კონკრეტულ თემებთან მიმართებით სმენიათ. კერძოდ:

1. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია;
2. საქართველოში მიმდინარე მოვლენები და იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები;
3. ჯანმრთელობის საკითხები.

კვლევის ფარგლებში სულ 140 რესპონდენტი, პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, საქართველოს 7 ქალაქში სექტემბერში გამოიკითხა.

ცხრილი 1. რესპონდენტების რაოდენობა ქალაქების მიხედვით

ქალაქები	#
ახალქალაქი	20
ბათუმი	20

გარდაბანი	20
ზუგდიდი	20
თბილისი	20
თელავი	20
ქუთაისი	20
სულ	140

გამოკითხვა 3 ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა. ესენია: 18-35, 36-55, 55+. სამივე ასაკობრივი ჯგუფიდან შერჩეული იყო როგორც დასაქმებული (კერძო და საჯარო სექტორი), ასევე დაუსაქმებელი რესპონდენტები.

სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

ჯამში, კვლევის ფარგლებში საქართველოს 7 ქალაქში 28 მასწავლებელი, 22 თვითდასაქმებული, 21 კერძო სექტორში დასაქმებული, 14 მომსახურების სფეროში დასაქმებული, 13 საჯარო სამსახურის თანამშრომელი, 14 სტუდენტი, 28 უმუშევარი (ყველა ასაკობრივი ჯგუფიდან) გამოიკითხა.

გამოკითხულთა 63,6% (89) ქალი, ხოლო 36,4 % (51) კაცი რესპონდენტი იყო. რესპონდენტთა უმეტესობას (92-65,7%) უმაღლესი, ხოლო 48 რესპონდენტს (34,3%) საშუალო განათლება აქვს.

გამოკითხულთა უმრავლესობა (100) რუსულ ენას ფლობს, ხოლო ინგლისურს – 63 რესპონდენტი. შედარებით მცირეა სხვა დასავლური (26) და აღმოსავლური (11) ენების ცოდნის მაჩვენებელი. 12 რესპონდენტი კი არც ერთ უცხო ენას არ ფლობს. რუსული ენის ფლობის მაჩვენებელი ყველზე მაღალი საშუალო და უფროს ასაკობრივ ჯგუფებებშია (75), ხოლო ინგლისურს ყველაზე მეტი რესპონდენტი (39) ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფში ფლობს.

დიაგრამა 1. უცხო ენების ფლობა (ერთდროულად რამდენიმე პასუხი)



შინაარსი

მთავარი მიგნებები	8
I. მედიის მოხმარების ჩვეულებები და უნარები	11
II. დეზინფორმაციის ალიბები	20
2.1. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია	20
2.2. დეზინფორმაცია, რომელიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან და იდენტობასთან დაკავშირებით ვრცელდება	27
2.3. ჯანმრთელობა	37

დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა 1.	უცხო ენების ფლობა	5
დიაგრამა 2.	საიდან იღებთ ინფორმაციას?	11
დიაგრამა 3.	ინფორმაციის წყაროები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	12
დიაგრამა 4.	ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ	13
დიაგრამა 5.	რამდენად ხშირად ამოწმებთ ინფორმაციას?	14
დიაგრამა 6.	რას ამოწმებთ?	15
დიაგრამა 7.	ინფორმაციის გადამოწმების ჩვევები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	15
დიაგრამა 8.	გაგიზიარებიათ თუ არა როდესმე ყალბი ინფორმაცია ისე, რომ სხვების შეცდომაში შეყვანის განზრახვა არ გქონიათ?	16
დიაგრამა 9.	რა ფაქტორმა განაპირობა ყალბი ინფორმაციის გაზიარება?	16
დიაგრამა 10.	როგორ იქცევით, როცა აღმოაჩენთ, რომ ფეისბუქზე თქვენ მიერ გაზიარებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება?	17
დიაგრამა 11.	შეგხვედრიათ თუ არა ფეისბუქზე ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის გაფრთხილება, რომ პოსტი ყალბ ინფორმაციას შეიცავს?	18
დიაგრამა 12.	როგორ მოიქეცით ფეისბუქის გაფრთხილების შემდეგ, რომ ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციამ პოსტი ყალბად შეაფასა?	19
დიაგრამა 13.	უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით გავრცელებული დეზინფორმაცია რესპონდენტთა აღქმით	21
დიაგრამა 14.	დეზინფორმაციული გზავნილები უკრაინაზე, რომელთაც რესპონდენტთა ნაწილი სანდოდ მიიჩნევს	22
დიაგრამა 15.	უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე დეზინფორმაციის წყარო რესპონდენტთა აღქმებით	26
დიაგრამა 16.	საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული დეზინფორმაცია რესპონდენტთა აღქმით	28
დიაგრამა 17.	დეზინფორმაციის წყარო საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რესპონდენტთა აღქმით	36
დიაგრამა 18.	ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული დეზინფორმაცია რესპონდენტთა აღქმით	37
დიაგრამა 19.	ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული დეზინფორმაცია, რომელთაც რესპონდენტები სანდოდ მიიჩნევენ	38
დიაგრამა 20.	დეზინფორმაციის წყარო ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე რესპონდენტთა აღქმით	39
ცხრილი 1.	რესპონდენტების რაოდენობა ქალაქების მიხედვით	4
ცხრილი 2.	სოციალური ქსელი, როგორც ინფორმაციის წყარო	13

მთავარი მიგნებები

კვლევის შედეგად შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- რესპონდენტების უმრავლესობამ ინფორმაციის წყაროდ სოციალური მედია დაასახელა, რომელსაც ტელევიზია მოსდევს. თუმცა, სანდოობის მხრივ, გამოკითხულები უპირატესობას ტელევიზიას ანიჭებენ და სოციალურ მედიას მხოლოდ შემდეგ ასახელებენ. ამასთანავე, სოციალური მედიის მიმართ ნდობა უფროსი ასაკის ჯგუფში (55+) უფრო დაბალია, ვიდრე ახალგაზრდებში (18-35).
- მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა გარკვეულმა ნაწილმა ინფორმაციის წყაროდ მეგობრები, ახლობლები და მეზობლებიც დაასახელა, არაფორმალური წყაროების მიმართ ნდობა საკმაოდ დაბალია.
- რესპონდენტთა უმრავლესობა იშვიათად ან არასდროს ამოწმებს ინფორმაციას, მათი წილი კი, ვინც მუდმივად ახდენს ინფორმაციის გადამოწმებას, გამოკითხულთა 30%-ზე ოდნავ მეტია.
- ინფორმაციის არგადამოწმების მიზეზად ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა დროის დეფიციტი დაასახელეს. ხოლო მათ, ვინც ინფორმაციას მუდმივად ან იშვიათად ამოწმებს, აღნიშნეს, რომ ყველაზე ხშირად ავტორის და წყაროს სანდოობას ამოწმებდნენ.
- ამასთანავე, ახალგაზრდა (18-35) და საშუალო ასაკის (36-55) ასაკობრივი ჯგუფები წყაროს სანდოობას უფრო ხშირად ამოწმებენ, ვიდრე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები, ისევე როგორც ვიზუალურ მანიპულაციას, რაც გარკვეული ტექნიკების ცოდნასა და უნარებს მოითხოვს.
- რესპონდენტთა ნაწილს ყალბი ინფორმაცია სხვების შეცდომაში შეყვანის განზრახვის გარეშე გაუზიარებია, რის მიზეზადაც მედიის ან იმ ახლობლის მიმართ ნდობის ფაქტორი დაასახელა, ვინც ინფორმაცია გააზიარა.
- რესპონდენტთა უმრავლესობის განცხადებით, მცდარი ინფორმაცია წაუშლია მას შემდეგ, რაც აღმოუჩენია, რომ მის მიერ გაზიარებული ინფორმაცია ყალბი იყო. მცირე იყო იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც მცდარი ინფორმაციის ჩასწორებას სხვადასხვა ფორმით ახდენს.

- გამოკითხულთა დაახლოებით 40%-ს ფეისბუქზე ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის მიერ ყალბად მონიშნული პოსტი შეხვედრია, მათმა უმრავლესობამ (76,6%) განაცხადა, რომ ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის სტატიის გაცნობის შემდეგ, პოსტი აღარ გააზიარა, მხოლოდ მცირედმა ნაწილმა განაცხადა, რომ სტატია არაარგუმენტირებულად ჩათვალა ან პოსტის ავტორებს მეტად ენდობოდა და ამიტომ ის მაინც გააზიარა.

დეზინფორმაციის აღქმები უკრაინაზე

- უკრაინაში რუსეთის ინტერვენციასთან დაკავშირებით რესპონდენტთა უმრავლესობამ ყალბად მიიჩნია მტკიცება იმის შესახებ, რომ ომი უკრაინამ დაიწყო; რომ რუსეთი უკრაინაში მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად სპეცოპერაციას ახორციელებს და რუსეთი უკრაინაში ომს იგებს.
- რესპონდენტთა ნაწილმა ყალბად მიიჩნია მტკიცება იმის შესახებ, რომ, უკრაინის მსგავსად, საქართველოს ომში ჩათრევას ამერიკის ელჩი/დასავლეთი ცდილობს.
- გამოკითხულთა ნაწილმა, მეტწილად ეთნიკური სომხებით დასახლებული ახალქალაქიდან, სადაც ინფორმაციის სახელმწიფო ენაზე მიღების პრობლემა წლებია არსებობს, სარწმუნოდ მიიჩნია უკრაინის ომზე გავრცელებული ბევრი ის დეზინფორმაცია, რომელსაც კრემლის პროპაგანდა მიზანმიმართულად ავრცელებს.
- რესპონდენტთა ნაწილი სანდოდ მიიჩნევდა მტკიცებას, რომ ომი დასავლეთის პროვოცირებულია, რომელმაც ორი მოძმე ერი ერთმანეთს წაჰკიდა, რომ რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობას არ ერჩის, ხოლო უკრაინა მსხვერპლს აყალბებს და საკუთარ მოსახლეობას თავად იმეტებს.
- რესპონდენტთა ნაწილმა ასევე ყალბად შეაფასა განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველო უკრაინას მხარს არ უჭერს როგორც სანქციების, ასევე ლტოლვილების მიღების მხრივ.
- უკრაინაზე დეზინფორმაციის წყაროდ რესპონდენტთა უმრავლესობამ რუსული მხარე და რუსული მედია მიიჩნია.

დეზინფორმაციის აღქმები საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან / იდენტობასთან დაკავშირებით

- საქართველოსთან მიმართებით გავრცელებული დეზინფორმაციებიდან რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად იდენტობისა და ტრადიციების დაკარგვის საფრთხე დაასახელეს, რაც დასავლეთში, განსაკუთრებით ევროკავშირში ინტეგრაციას უკავშირდებოდა.
- 2008 წლის ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულებაც ერთ-ერთი დომინანტი დეზინფორმაციული გზავნილი იყო, რომელიც რესპოდენდენტებმა გაიხსენეს, თუმცა ახალქალაქში უკრიანის მსგავსად რამდენიმე რესპონდენტმა განსხვავებული პოზიცია გამოხატა და როგორც სამაჩაბლოში, ასევე აფხაზეთში ომის პროვიცირება, ასევე მსხვერპლის გაყალბება საქართველოს დააბრალა.
- რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მმართველი პარტიის და ხელისუფლების პრორუსულობაში დადანაშაულებაც დეზინფორმაციაა. ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ვი-

თარების გამწვავება არ სურს და ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს, ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, სულაც არ ნიშნავს, რომ მას ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია არ სურს.

- თურქეთის შესახებ გავრცელებული ყალბი ცნობების მიმართ ყველაზე მაღალი მგრძნობელობა ეთნიკური სომხებით დასახლებულ ახალქალაქში გამოიკვეთა, ერთ შემთხვევაში კი თურქეთის მოსაზღვრე აჭარის რეგიონში (ბათუმი). თურქეთის სამხედრო ბაზის განთავსების შესახებ დეზინფორმაცია ახალქალაქში წარსულში განთავსებულ რუსეთის სამხედრო ბაზასთან და მისი თურქულით ჩანაცვლების პერსპექტივასთან ასოცირდებოდა, რაც ნატოს წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაციული ნარატივის ნაწილია, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირება თურქული ბაზის სამცხე-ჯავახეთში განთავსებას და ისტორიული ტრავმის გამო ადგილობრივ სომხებსა და თურქებს შორის კონფლიქტის გამწვავებას მოასწავლებს.
- ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ გარდაბანში მეტწილად ეთნიკურად ქართველებზე გავრცელებულ სტერეოტიპებზე გამახვილდა ყურადღება. ბათუმში კი, სადაც ეთნიკურად ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ, რამდენიმე რესპონდენტმა დეზინფორმაციულად მიიჩნია დებულება, რომლის თანახმადაც ყველა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანია.
- რამდენიმე რესპონდენტმა ასევე სიყალბედ მიიჩნია შეფასებები მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკური გავლენის და სეკულარიზმის პრინციპის დარღვევის შესახებ.
- საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ დეზინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად ოპოზიცია დასახელდა, შედარებით ნაკლებად ხელისუფლება, რაც სახელისუფლებო პროპაგანდის უპირატესი რესურსებით შეიძლება აიხსნას.

დეზინფორმაციის აღქმები ჯანმრთელობაზე

- ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, რესპონდენტებმა ყველაზე მეტი რაოდენობის ყალბი ამბავი დაასახელეს, რომელთაგანაც დომინირებდა კონსპირაცია იმის შესახებ, რომ ვაქცინა დაჩიპვას, 5G ანტენის დაჭერას განაპირობებს, კორონავირუსი ხელოვნუღად შექმნილი ბიოლოგიური იარაღია. რესპონდენტთა ნაწილი ლუგარის ლაბორატორიასა და ამერიკელების მიერ კოვიდის შექმნაზე ამახვილებდა ყურადღებას.
- რესპონდენტთა ნაწილი მოწყვლადი აღმოაჩნდა კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის მიმართ და ყველაზე მეტად სანდოდ მიიჩნია მტკიცება იმის შესახებ, რომ კოვიდსტატისტიკას აყალბებენ, კოვიდი არ არსებობს და ეს თემა გაზვიადებულია, რომ ვაქცინა მოსახლეობის, მათ შორის პენსიონერების, შესამცირებლად შეიქმნა.
- ჯანმრთელობის საკითხებზე დეზინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად საზოგადოება, სოციალური მედია და ანტივაქსერები დასახელდნენ.
- აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიცია დეზინფორმაციის წყაროდ უფრო მეტჯერ დასახელდა, ვიდრე მთავრობა.

1. მედიის მოხმარების ჩვევები და უნარები

ინფორმაციის წყაროები. კითხვაზე, საიდან იღებთ ინფორმაციას, რესპონდენტების უმრავლესობამ (106 – 42,1%) სოციალური მედია დაასახელა, რასაც მოსდევს ტელევიზია (81 – 32,1%). შემდეგ ადგილზეა ინფორმაციის არაფორმალური წყაროები (მეგობრები, ახლობლები და მეზობლები), რომელიც 31-მა რესპონდენტმა (12.3%) დაასახელა. შედარებით მცირეა საინფორმაციო ვებ-გვერდებისა და აპლიკაციების (13 – 5,2%), ასევე ჟურნალ-გაზეთების (11 – 4,4%) მოხმარება.

დიაგრამა 2. საიდან იღებთ ინფორმაციას?



ასაკობრივ ჭრილში ყველაზე მკვეთრი სხვაობა სოციალური მედიის მოხმარების მხრივ იკვეთება, სადაც 18-35 წლამდე ასაკის ახალგარზდები (48) სოციალურ მედიას ინფორმაციის წყაროდ ორჯერ მეტად მოიხმარენ, ვიდრე 55+ ჯგუფის (22) რესპონდენტები, ხოლო ტელევიზიას ყველა ასაკობრივი ჯგუფი მეტ-ნაკლებად თანაბრად მოიხმარს. როგორც დიაგრამა 3-ზე ჩანს, ჟურნალ-გაზეთებისა და რადიოს მოხმარებაც უფროს ასაკობრივ ჯგუფში უფრო მაღალია.

დიაგრამა 3. ინფორმაციის წყაროები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ერთდროულად რამდენიმე პასუხი



ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ. რესპონდენტებმა ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროებად ტელევიზია (63) და სოციალური მედია (45) დაასახელეს. ამასთანავე, 31 რესპონდენტმა განაცხადა, რომ მედიას მხოლოდ გასართობი შინაარსისთვის იყენებს, იდენტური რაოდენობის რესპონდენტი (31) კი არცერთ ინფორმაციას არ ენდობა. სოციალური მედიის მიმართ ნდობა უფროსი ასაკის ჯგუფში (55+) უფრო დაბალია, ვიდრე ახალგაზრდებში (18-35). ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის წყაროდ მეგობრები, ახლობლები და მეზობლები 31-მა რესპონდენტმა დაასახელა, როგორც დიაგრამა 4-ზე ჩანს, არაფორმალური წყაროების მიმართ ნდობა, არც ისე მაღალია (3).

დიაგრამა 4. ნდობა ინფორმაციის წყაროების მიმართ

ინფორმაციის რომელ წყაროს ენდობით ყველაზე მეტად? (ერთდროულად რამდენიმე პასუხი)



სოციალური ქსელი, როგორც ინფორმაციის წყარო. კითხვაზე – რომელი სოციალური ქსელებიდან იღებთ ინფორმაციას? – გამოკითხულთა უმრავლესობამ ფეისბუქი (118) დაასახელა. შედარებით დაბალი იყო ინსტაგრამის (33), ტელეგრამის (21), ტვიტერის (12) და სხვა ქსელების მაჩვენებელი.

ცხრილი 2. სოციალური ქსელი, რომლიდან ინფორმაციის წყარო

11. რომელი სოცქსელიდან იღებთ ინფორმაციას?	18-35	36-55	55+	ჯამი
ფეისბუქი	49	39	30	118
ინსტაგრამი	24	6	3	33
ტელეგრამი	14	6	1	21
ტვიტერი	8	4		12
ტიკტოკი	4	1	2	7
ვოთსაფი	2	3		5
სხვადასხვა	2	5	1	8

ინფორმაციის გადამოწმების ჩვევები. კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ამოწმებთ ინფორმაციის სანდოობას? – არასდროს (32.1%) და იშვიათად (32.1%) თითქმის თანაბარი იყო და ჯამურად უმრავლესობას შეადგენდა (64.2%). მუდმივად ინფორმაციას გამოკითხულთა მხოლოდ 30.7% ამოწმებს, ხოლო 5,1%-ის თქმით, მხოლოდ იმ წყაროს ინფორმაციას აზიარებს, რომელსაც თავად ენდობა.

დიაგრამა 5. რამდენად ხშირად ამოწმებთ ინფორმაციას?



რესპონდენტებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ინფორმაციას არ ამოწმებენ, მიზეზად ყველაზე ხშირად დროის დეფიციტი დაასახელეს; ნაწილმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი ნაკლებად აღელვებს; ხოლო რესპონდენტთა ნაწილის თქმით, ძალიან ბევრი ყალბი ინფორმაცია ვრცელდება იმისთვის, რომ რეგულარულად გადაამოწმო. რამდენიმე რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ წინასწარ იცის, რომ ინფორმაცია ყალბია და გადამოწმების საჭიროებას ამიტომ ვერ ხედავს.

რესპონდენტებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ მუდმივად ან იშვიადად ამოწმებდნენ ინფორმაციას, ვთხოვეთ დაეკონკრეტებინათ, წინასწარ განსაზღვრული ჩამონათვალიდან, რას ამოწმებდნენ ყველაზე ხშირად. ყველაზე მეტმა გამოკითხულმა ავტორის (42.9%) და წყაროს სანდოობა (41.4%) დაასახელა. 35%-მა განაცხადა, რომ იგივე ინფორმაციას სანდო მედიაში ეძებდა, ხოლო 29.3%-მა აღნიშნა, რომ ინფორმაციას სხვა წყაროებით ამოწმებდა. ყველაზე მცირე იყო რესპონდენტთა რიცხვი, ვინც ვიზუალურ მანიპულაციას ამოწმებდა: 11,4% – კი, 15,7% – იშვიათად.

დიაგრამა 6. რას ამოწმებთ?
ერთდროულად რამდენიმე პასუხი



როგორც დიაგრამა 7-ზე ჩანს, ასაკობრივ ჭრილში მონაცემების მიხედვით, ახალგაზრდა (18-35) და საშუალო ასაკის (36-55) ასაკობრივი ჯგუფები წყაროს სანდოობას უფრო ხშირად ამოწმებენ, ისევე როგორც ვიზუალურ მანიპულაციას, რაც გარკვეული ტექნიკების ცოდნასა და უნარებს მოითხოვს.

დიაგრამა 7. ინფორმაციის გადამოწმების ჩვევები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ყალბი ინფორმაციის გაზიარების გამოცდილება. კითხვაზე, გაგიზიარებიათ თუ არა როდესმე ყალბი ინფორმაცია ისე, რომ სხვების შეცდომაში შეყვანის განზრახვა არ გქონიათ? – გამოკითხულთა უმრავლესობამ (53,6%) განაცხადა, რომ ასეთი ინფორმაცია არ გაუზიარებია, ხოლო 44,3%-მა კი განაცხადა, რომ მსგავსი გამოცდილება აქვს.

დიაგრამა 8. გაგიზიარებიათ თუ არა როდესმე ყალბი ინფორმაცია ისე, რომ სხვების შეცდომაში შეყვანის განზრახვა არ გქონიათ?



რესპონდენტებს, რომლებმაც თქვეს, რომ ყალბი ინფორმაცია სხვების შეცდომაში შეყვანის განზრახვის გარეშე გაუვრცელებიათ, ვთხოვეთ დაეკონკრეტებინათ, რამ განაპირობა მათი ასეთი ქმედება. რესპონდენტთა უმრავლესობამ მიზეზად მედიის ან ახლობლების მიმართ ნდობის ფაქტორი დაასახელა, აქედან უმეტეს შემთხვევაში რესპონდენტებმა თქვეს, რომ ინფორმაციას მათთვის სანდო მედია აზიარებდა და ამიტომ არ გადაუმოწმებიათ (46.8%), 27,4%-მა კი განაცხადა, რომ მათი არჩევანი ახლობლების მიმართ პიროვნულმა ნდობამ განაპირობა და ინფორმაციის გადაზიარებისას ახლობლების არჩევანს უპირობოდ ენდნენ. შედარებით მცირე იყო იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც თქვა, რომ ასეთი ინფორმაცია შემთხვევით გააზიარა (8,1%); ინფორმაცია თანხვედრაში იყო მის შეხედულებებთან და ამიტომ გააზიარა (4,8%); მის გადაწყვეტილებაზე ბრენდის სანდოობამ იმოქმედა და ყურადღება არ მიაქცია, რომ არაავთენტურ, კლონირებულ მედიას აზიარებდა (3,2%); საზოგადო მოღვაწის ციტატა იყო და გადამოწმების გარეშე გააზიარა (3,2%).

დიაგრამა 9. რა ფაქტორმა განაპირობა ყალბი ინფორმაციის გაზიარება?

ერთდროულად რამდენიმე პასუხი



ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, მის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პოლიტიკური კონიუნ-ქტურის გამო ითვლება ყალბად, თუმცა თავად არ თვლის, რომ რაც გაავრცელა, მცდარია:

> **კაცი, ქუთაისი, 36-55 წლის:** „ვფიქრობ, რაც გავაზიარე, მართალი იყო, მაგრამ პოლიტიკის გამო ყალბ ინფორმაციად საღდება“.

კითხვაზე, თუ როგორ იქცევიან რესპონდენტები, როცა აღმოაჩენენ, რომ ფეისბუქზე მათი გაზი-არებული ინფორმაცია მცდარია, უმეტესობამ (38,6%) უპასუხა, რომ პოსტს შლის. როგორც დიაგ-რამა 10-ზე ჩანს, შედარებით მცირე იყო იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც მცდარი ინფორმაციის ჩასწორებას სხვადასხვა ფორმით ახდენს.

დიაგრამა 10. როგორ იქცევით, როცა აღმოაჩენთ, რომ ფეისბუქზე თქვენ მიერ გაზიარებული ინფორმაციის სიმართლეს არ შეესაბამება?



რესპონდენტებს ასევე ვკითხეთ, შეხვედრიათ თუ არა ფეისბუქის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ყალბად მონიშნული პოსტები. პასუხად 60%-მა განაცხადა, რომ არ შეხვედრია, ხოლო 37,9%-მა თქვა, რომ შეხვედრია.

დიაგრამა 11. შეგხვედრიათ თუ არა ფეისბუქზე ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის გაფრთხილება, რომ პოსტი ყალბ ინფორმაციას შეიცავს?



შეკითხვაზე, თუ როგორ მოიქეცით მას შემდეგ, რაც ფეისბუქმა ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის მასალაზე დაყრდნობით ისინი გააფრთხილა, რომ პოსტი ყალბ ცნობებს შეიცავს, უმრავლესობამ (76,6%) განაცხადა, რომ გაეცნო ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის სტატიას და აღარ გადააზიარა პოსტი, რადგან ის არგუმენტირებულად ჩათვალა. 12,8%-მა განაცხადა, რომ სტატიას ყურადღეაბ არ მიაქცია, 4,3%-მა თქვა, რომ სტატიას გაეცნო, მაგრამ არაარგუმენტირებულად ჩათვალა და პოსტი მაინც გააზიარა, ხოლო 2,1%-მა აღნიშნა, რომ სტატიას არ გაეცნო, რადგან ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციაზე მეტად პოსტის ავტორს ენდობოდა.

დიაგრამა 12. რობორ მოიქცეთ ფეისბუქის გაფრთხილების შემდეგ, რომ ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციამ ჰოსტი ყალბად შეაფასა?



- გავეცანი ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის სტატიას და აღარ გავაგზიარე პოსტი, რადგან სტატია არგუმენტირებული და გამყარებული იყო ფაქტებით
- გავეცანი ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის სტატიას და მაინც გავაგზიარე პოსტი, რადგან სტატიაში მოყვანილი არგუმენტები და ფაქტები დამაჯერებელი არ იყო
- არ წავიკითხე ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციის სტატია, რადგან პოსტის ავტორს უფრო ვენდობი, ვიდრე ამ ორგანიზაციას
- ყურადღება არ მიმიქცევია სტატიისთვის
- სხვადასხვა

II. დეზინფორმაციის აღქმები

დეზინფორმაციის აღქმების შესასწავლად რესპონდენტებს ვთხოვეთ, გაეხსენებინათ უკრაინასთან, საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან და იდენტობასთან, ასევე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სულ მცირე 3 დეზინფორმაცია, რომელიც მათ სმენიათ. გარკვეულ შემთხვევებში, რესპონდენტთა ნაწილმა მკაფიოდ გამოხატეს პოზიცია, რომლის თანახმადაც ისინი ზოგიერთ დეზინფორმაციულ ცნობას იზიარებდნენ. ასეთი ტენტენცია განსაკუთრებით მკაფიო ახალქალაქის შემთხვევაში 2022 წელს უკრაინასა და 2008 წელს საქართველოში რუსეთის ინტერვენციასთან დაკავშირებით იყო, რასაც რესპონდენტები განსხვავებულად აფასებდნენ.

ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში რესპონდენტები სხვადასხვა საბაბით კონკრეტულ თემაზე დეზინფორმაციის მაგალითების დასახელებისგან საერთოდ თავს იკავებდნენ. ერთ შემთხვევაში პედაგოგმა ახალქალაქიდან მიზეზად ქართული ენის არცოდნა დაასახელა, მეორე შემთხვევაში საჯარო მოხელემ მთავრობის მიმართ ლოიალობა და დეზინფორმაციისადმი ნაკლები ინტერესი:

> **ქალი, 65 წლის, მასწავლებელი, ახალქალაქი:** „რადგან ქართული არ ვიცით, ქართულ არხებს არ ვუყურებთ და არ გამიგია. ხოლო სომხურ ან რუსულ ენაზე არ შემხვედრია“.

> **ქალი, 55 წლის, საჯარო სამსახურის თანამშრომელი, ახალქალაქი:** „ჩვენი მთავრობის აზრს ვეთანხმები, ამიტომ საქართველოს მოქალაქე ვარ და ჩვენს მთავრობას მხარს ვუჭერ. რაც შეეხება დეზინფორმაციას, ეს არ მაინტერესებს“.

2.1. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია

კითხვაზე, რა დეზინფორმაცია სმენიათ რესპონდენტებს უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით, უმრავლესობამ ომის დაწყებაში უკრაინის დადანაშაულება (26) და-

ასახელა. შემდეგ ადგილზე იყო კრემლის მტკიცება იმის შესახებ, რომ რუსეთი უკრაინაში მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად სპეცოპერაციას ახორციელებს (21) და რომ რუსეთი უკრაინაში ომს იგებს (18). დასახელდა ასევე უშუალოდ საქართველოსთან მიმართებით ომის კონტექსტში გავრცელებული სპეკულაციური მტკიცებები, რომ უკრაინის მსგავსად საქართველოს ომში ჩათრევას ამერიკის ელჩი/დასავლეთი (11) ცდილობს. ასეთი განცხადებები ყალბად, რესპონდენტებმა ძირითადად თბილისიდან, ბათუმიდან და ზუგდიდან დაასახელეს. უკრაინაში საომარი მოქმედებების მიზეზად დასავლეთი, ასევე ნატოს გაფართოვება 7-მა რესპონდენტმა დაასახელა, რუსეთის უკრაინაში შესვლის საფუძვლად უკრაინის დენაციფიკაციაც რესპონდენტთა იდენტურმა რაოდენობამ (7) დაასახელა. როგორც დიაგრამა 13-ზე ჩანს, რესპონდენტებმა კრემლის ის სხვა დეზინფორმაციული გზავნილებიც ჩამოთვალეს, რომლებიც მედიის განვითარების ფონდის მონიტორინგის[1] შედეგად გამოვლინდა. კერძოდ: რომ უკრაინა საკუთარ მოსახლეობას სწირავს (5), მსხვერპლს აყალბებს/ბუჩა/მარიუპოლი თავად მოაწყო (5), რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობას არ ერჩის/რუსეთს ომი არ სურს (5) და სხვა. ამასთანავე, რამდენიმე რესპონდენტმა დეზინფორმაციულად შეაფასა მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველო უკრაინას მხარს არ უჭერს და არც რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს უერთდება.

დიაგრამა 13. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციასთან დაკავშირებით გავრცელებული დეზინფორმაცია რესპონდენტთა ალქმით



[1] მედიის განვითარების ფონდი (2022), რუსეთის ინფორმაციული ომი – 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/227

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ის მტკიცება, რომელსაც რუსული პროპაგანდა ომის პერიოდში სხვადასხვა არხებით ავრცელებდა,[2] რესპონდენტთა ნაწილმა სანდოდ მიიჩნია და თავისი პოზიცია იმის შესახებ, რომ გავრცელებულ ცნობებს იზიარებდა, მკაფიოდ გამოხატა. როგორც ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, რესპონდენტთა ნაწილი სარწმუნოდ მიიჩნევდა მტკიცებას, რომ ომი დასავლეთმა დაიწყო, რომელმაც ორი მოძმე ერი ერთმანეთს დააპირისპირა (6), რომ რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობას არ ერჩის (5), ხოლო უკრაინა მსხვერპლს აყალბებს და საკუთარ მოსახლეობას თავად სწირავს, რომ ბუჩასა და მარიუპულის მოვლენები მან თავად მოაწყო (5). ნაწილი სათუოდ ხდიდა იმ ფაქტს, რომ უკრაინა იმარჯვებს (4).

დიაგრამა 14. დეზინფორმაციული გზავნილები უკრაინაზე, რომელთაც რესპონდენტთა ნაწილი სანდოდ მიიჩნევს



უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრემლის ყველაზე მეტი დეზინფორმაციული გზავნილი (13) სანდოდ ახალქალაქში დასახელდა, სადაც სომხურენოვანი საქართველოს მოქალაქეები კომპაქტურად ცხოვრობენ და ენობრივი ბარიერის გამო ქართულენოვან საინფორმაციო მედიებს ინფორმაციის წყაროდ ნაკლებად იყენებენ.

იმის საილუსტრაციოდ, რომ უკრაინული მხარე მსხვერპლს აყალბებს, რამდენიმე რესპონდენტმა ახალქალაქიდან მარიუპოლელი ბლოგერის მარიანა პოდგურსკაიას ფეხმძიმობის ისტორია[3]

[2] მედიის განვითარების ფონდი (2022), რუსეთის ინფორმაციული ომი – 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/227

[3] მითების დეტექტორი, 11 მარტი, 2022. „ბლოგერმა მარიუპოლიდან, რომელსაც რუსული მედია ყალბ ფეხმძიმობას აბრალებდა, ბავშვი გააჩინა“ https://mythdetector.ge/ka/blogerma-mariupolidan-romelsats-rusuli-media-qhalb-phekhmdzimobas-abralebda-bavshvi-gaachina/

გაიხსენა, რომელსაც რუსული პროპაგანდა მსახიობობას და მსხვერპლის როლის შესრულებას აბრალებდა:

ქალი, 58 წლის, მასწავლებელი, ახალქალაქი: „...იგივე უკრაინელები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ რუსეთმა სამშობიარო სახლი დაბომბა. ვიდეოს კადრებში ვნახე ჩემთვის ცნობილი მოდელი გოგონა, რომელიც საკაცეზე გამოჰყავდათ სამშობიაროდან. როცა უკვე გამოიყვანეს სულ სხვა ტანსაცმელში იყო. ასე წაიყვანეს თითქოს დაშავებული იყო, მაგრამ ჩემთვის სანდო მედიამ შემდეგ გვაცნობა, რომ აღნიშნული სამშობიარო არ მოქმედებდა როგორც სამშობიარო... უკრაინელები საკუთარ ხალხს ცოცხალ ფარად იყენებენ. არც რუსეთს, არც უკრაინას ვამართლებ. ომის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ვხედავ, რომ უკრაინელები საკუთარ ხალხს ჭუჭყიან საქმეებში იყენებენ“.

მტკიცება, რომ რუსეთი მშვიდობიან მოსახლეობას არ ერჩის, ხოლო უკრაინა საკუთარ მოსახლეობას თავად იმეტებს, ცალკეულმა რესპონდენტებმა სანდოდ გარდაბანსა და ქუთაისშიც მიიჩნიეს:

კაცი, 70 წლის, მასწავლებელი, გარდაბანი: „რუსეთის მხარე არ ანადგურებს სამოქალაქო დაწესებულებებს. გარდაცვლილთა შორის რიგითი მოქალაქეები იშვიათია. ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს უკრაინის მხარე ანადგურებს“.

ქალი, 49 წლის, უმუშევარი, ქუთაისი: „საბავშვო ბაღები და სკოლები და საავადმყოფო დაბომბეს და თურმე თვითონ უკრაინელი ნაცისტები ამ სვასტიკით გაფორმებული ბომბავდნენ

თვითონ თავიანთ [ხალხს].. ხალხი ტერორში ყოლიათ და ის ხალხი რომ გააათავისუფლეს, ეს საინფორმაციომ დადო. ვიდეო მასალა იყო, უტყუარი ვიდეო მასალა იყო და ყველა დარწმუნდა მერე ამაში“.

ცალკეულმა რესპონდენტებმა ახალქალაქში ასევე სანდოდ მიიჩნიეს მტკიცებები, რომ რუსეთი უკრაინაში საკუთარი მოსახლეობის უფლებების დაცვის მიზნით შევიდა, ხოლო ომი დასავლეთის ინსპირირებულია, რომელმაც ორი მოძმე ერი ერთმანეთს გადაჰკიდა:

ქალი, 34 წლის, კერძო სექტორში დასაქმებული, ახალქალაქი: „აღნიშნავდნენ, რომ უკრაინის მიერ ნატოში გაწევრიანების სურვილის გამჟღავნების შემდეგ რუსეთმა გადაწყვიტა, რომ ომი დაეწყო. რეალურად, უკრაინა თავის რუს მოქალაქეებს ავიწროებდა, არ აძლევდა საშუალებას რუსული ენა გამოეყენებინათ, სკოლებში რუსული ენა აკრძალეს, ამიტომ რუსულმა მხარემ გადაწყვიტა, რომ იქაური რუსები დაეცვა“.

კაცი, 68 წლის, თვითდასაქმებული, ახალქალაქი: „თუ ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთმა ინტერვენცია განახორციელა, მე ასე არ მიმაჩნია. **რუსები ფაქტობრივად დასავლური ინტერვენციისგან თავს იცავენ. რუსეთი არ წავიდა დასავლეთისკენ, პირიქით, დასავლეთი რუსეთისკენ მოდის. ეს ფაქტია.** რუსეთმა დასავლეთს საჩუქარი დაუტოვა და გავიდა იქიდან. როგორ მოხდა, რომ ისინი უკრაინისკენ, რუსეთისკენ მოდიან და რუსეთი გახდა ინტერვენტი, ხოლო დასავლელები წმინდანები გახდნენ. რა ინტერპრეტაციაა ეს ან რა აზროვნებაა, არ მესმის. სწორედ ეს არის დეზინფორმაცია. მსოფლიო აფიორაა. დასავლეთი უკრაინელებს იარაღად იყენებს. მათი იარაღითა და დეზინფორმაციის ზემოქმედებით, საწყალი უკრაინელი ხალხი რუსეთს ებრძვის. გამოდის, რომ **ორი ძმა ერთმანეთის წინააღმდეგ აამხედრეს**“.

უკრაინის მოვლენების ფონზე საქართველოში ომის განახლებისა და ქვეყნის ომში ჩათრევის შესაძლებლობას რესპონდენტთა ნაწილი დეზინფორმაციად განიხილავდა, ასევე ცალკეულ შემთხვევებში კეთდებოდა განცხადებები, რომ უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელი საქართველოს ომში ჩართვისკენ მოუწოდებდა.

კაცი, 63 წლის, მასწავლებელი, გარდაბანი: „როდესაც უკრაინაში ომი დაიწყო, აქ ასეთი დეზინფორმაციები ვრცელდებოდა, რომ საქართველოშიც ომი დაიწყება, ნატო საქართველოს იარაღებით ავსებს და მის ჯარს ამზადებს“.

ქალი, 69 წლის, უმუშევარი, თელავი: „იმდენი დეზინფორმაცია ვრცელდება, არ ვიცი ვის დავუჯერო. მაგალითად, ზელენსკის მრჩეველმა მოგვიწოდა, რომ პირდაპირ ჩავრთულიყავით რუსეთთან ომში და გვეწარმოებინა რუსეთის წინააღმდეგ ომი“.

რესპონდენტთა ნაწილმა ამასთანავე ყალბად შეაფასა განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველო უკრაინას მხარს არ უჭერს როგორც სანქციების, ასევე ლტოლვილების მიღების მხრივ.

ქალი, 65 წლის, მასწავლებელი, ზუგდიდი: „პირველი ის მახსოვს, რომ საქართველო არ ამოუდგა მხარში უკრაინას და არ შეუერთდება სანქციებს, რომელიც რუსეთის მიმართ იყო დაწესებული, არ ღებულობდა ურაინელ ლტოლვილებს, არ ეხმარებოდა ჰუმანიტარული დახმარებით“.

კაცი, 50 წლის, საჯარო სამსახურის თანამშრომელი, ზუგდიდი: „ომის თემასთან დაკავშირებით ისევ, რომ ომში ჩართვა უნდა და არ ვერთვებით. რუსეთის მხარდამჭერები ვართ, უკრაინას არ ვუჭერთ მხარს არ ვეხმარებით, რასაც არ ვეთანხმები. არ მგონია საქართველოში ვინმე ისეთი იყოს რომ უკრაინის გამარჯვება არ უნდოდეს. შეიძლება იყოს, მაგრამ მე ვიძახი მასაზე“.

კაცი, 73 წლის, თვითდასაქმებული, თელავი: „ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მსოფლიოს მიაწოდა ასეთი ინფორმაცია, რომ საქართველო ეძებს შავ ხვრელებს, რათა რუსეთს მიაწოდოს იარაღი და ხელი შეუწყოს იარაღის შეტანაში და ათასი სისულელე. კიდევ ის, რომ საქართველომ რუსეთიდან შემოიყვანა ნავთობით დატვირთული გემები და მაშინვე გაიშიფრა ეს მტკნარი სიცრუე“.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა თბილისიდან ასევე გაიხსენა ქართული არხის მიერ მომზადებული სიუჟეტი, რომელიც უკრაინაში ინტერვენციის საპირწონედ რუსეთის წინააღმდეგ დასავლური ალიანსის შექმნას შეეხებოდა და სანქციების ფონზე ბრიტანეთში ეკონომიკურ სიდუხჭირეზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც მისი აზრით სტრატეგიული პარტნიორების მიმართ უნდობლობის გაღვივებას ისახავდა მიზნად:

კაცი, 32 წლის, თვითდასაქმებული, თბილისი: „ერთი იყო ის, როდესაც საუბარი წავიდა ახალი ალიანსის შექმნაზე, ეს იყო ბრიტანეთი, უკრაინა, პოლონეთი, მაშინვე ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა დაიწყო გავრცელება დეზინფორმაციის ბრიტანეთის შესახებ, რომ ბრიტანელ მოსახლეობას უწევს არჩევანის გაკეთება საკვები პროდუქციის ყიდვასა და გაზის გადასახადს შორის, ისინი საუბრობენ ევროპის ყველაზე მდიდარ სახელმწიფოებზე, სადაც უბრალოდ, მსგავსი პრობლემა არც გვახსოვს, რომ ყოფილიყო... მერე საზოგადოებაში წამოვიდა აზრი, რომ რადგან ამ ალიანსში წევრიანდება უკრაინაც და პოლონეთიც, რომელიც ჩვენი მთავრი სტრატეგიული პარტნიორია ნატოსთან ურთიერთობის მხრივ, ჩვენც გავწევრიანდეთ... აქ მთავრი ინიციატორის დემონიზაცია წავიდა, რომ ბრიტანეთის წამოწყებულ საქმეს როგორ შეიძლება ჩვენ შევუერთდეთ, როდესაც გაზის გადასახადი ვერ გადაუხ-

დიათ?!... და რა ალიანსი უნდა შექმნან?! როგორ შეიძლება მათი ნდობა?! ეს პირდაპირ საქართველოს გამო მოხდა, ეს იყო აბსოლუტურად ცრუ ინფორმაცია“.

კითხვაზე, თუ ვინ ავრცელებს ძირითადად ყალბ ინფორმაციას უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე, რესპონდენტთა უმრავლესობამ რუსული მხარე (50) და რუსული მედია (20) დაასახელა. უკრაინული მხარე დეზინფორმაციის გავრცელების წყაროდ 19-მა რესპონდენტმა მიიჩნია, საიდანაც ყველაზე მეტი ახალქალაქიდან (10) და თბილისიდან (5) იყო. უკრაინული მედია დეზინფორმაციის წყაროდ მხოლოდ ხუთმა რესპონდენტმა დაასახელა, საიდანაც 3 ახალქალაქიდან იყო. პრორუსული მედიები და ძალები, მათ შორის ალტ-ინფო და ქართული მარში დეზინფორმაციის წყაროდ 10-მა რესპონდენტმა დაასახელა. როგორც დიაგრამა 15-ზე ჩანს, დეზინფორმაციის წყაროდ ოპოზიციური მედია (8) და ოპოზიციაც (5) დასახელდა.

დიაგრამა 15. უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე დეზინფორმაციის წყარო რესპონდენტთა აღქმებით



2.2. დეზინფორმაცია, რომელიც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან და იდენტობასთან დაკავშირებით ვრცელდება

რესპონდენტენტებს ასევე ვთხოვეთ გაეხსენებინათ, თუ რა დეზინფორმაცია სმენიათ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან და იდენტობის თემასთან დაკავშირებით. უმრავლესობამ დასავლეთში ინტეგრაციის შემთხვევაში იდენტობის/ტრადიციების დაკარგვის საფრთხე (23) დაასახელა. თხუთმეტმა რესპონდენტმა ომის დაწყებაში საქართველოს დადანაშაულება (15) ყალბ ინფორმაციად მიიჩნია, თუმცა ახალქალაქში რესპონდენტთა ნაწილმა განსხვავებული პოზიცია გამოხატა და ომის პროვოცირება როგორც სამაჩაბლოში, ასევე აფხაზეთში საქართველოს დააბრალა. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, მმართველი პარტიის და ხელისუფლების პრორუსულობაში დადანაშაულებაც დეზინფორმაციაა (15). როგორც დიაგრამა 16-ზე ჩანს, მტკიცებები, რომლებიც თურქეთის მიერ აჭარის მითვისებას, ან თურქების საქართველოში ჩამოსახლებას ეხებოდა, რესპონდენტებმა ყველაზე მეტად ახალქალაქში (5), ასევე ბათუმში (1) დაასახელეს. კვლევაში მონაწილეებმა ასევე დეზინფორმაციას მიაკუთვნეს მტკიცება, რომ ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას/ომის განახლებას (5) განაპირობებს, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას (5), ასევე განცხადებები იმის შესახებ, რომ საპატრიარქოს პოლიტიკური გავლენები (3) აქვს. ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ გარდაბანში მეტწილად ეთნიკურად ქართველებზე გავრცელებულ სტერეოტიპებზე გამახვილდა ყურადღება, მაგალითად „ქართველები ნაციონალისტები არიან“ (3) და აზერბაიჯანელებს ქედმაღლურად უყურებენ (2). ბათუმში კი, სადაც ეთნიკურად ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ, რამდენიმე რესპონდენტმა დეზინფორმაციულად მიიჩნია დებულება, რომლის თანახმადაც ყველა ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანია (2).

დიაგრამა 16. საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული დეზინფორმაციის რესპონდენტთა ალქმით



ვინ დაიწყო 2008 წლის ომი?

2008 წლის რუსეთის სამხედრო ინტერვენციაში საქართველოს ხელისუფლების დადანაშაულება დეზინფორმაციად რესპონდენტებმა ყველაზე ხშირად თელავში (9) და ბათუმში (5) დაასახელეს. აღსანიშნავია, რომ პედაგოგმა ქუთაისიდან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ომის დაწ-ყება მხოლოდ სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ არის შესაძლებელი და არა საკუთარ ტერიტორი-აზე საკუთარი ქვეყნისვე წინააღმდეგ:

ქალი, 50 წლის, მასწავლებელი, ქუთაისი: „საქართველოსთან დაკავშირებით ყველაზე დიდი დეზინფორმაცია ის იყო, თითქოს საქართველომ დაიწყო ომი. ომი შეიძლება გამოცხადდეს მეზობელ აგრესიულ სახელმწიფოსთან და არა საკუთარ ტერიტორიაზე“.

საპირისპირო სურათი გამოიკვეთა ახალქალაქში, სადაც როგორც ენობრივი ბარიერის გამო, უკრაინის შემთხვევის მსგავად რესპონდენტები კრემლის დეზინფორმაციული ნარატივების მიმართ უფრო მოწყვლადები აღმოჩნდნენ. რამდენიმე რესპონდენტი, ძირითადად 55+ ასაკობრივი ჯგუფიდან, არა მხოლოდ საქართველოს აბრალებდა ომის პროვოცირებას, არამედ ამტკიცებდა, რომ რუსეთი 2008 წელს მშვიდობიან მოსახლეობას არ ერჩოდა და საქართველო მსხვერპლს აყალბებდა:

ქალი, 58 წლის, მასწავლებელი, ახალქალაქი: „ოსეთის [რუსეთ-საქართველოს] ომის დროს დაჭრილები ქუჩებში იგივენაირად მოიყვანეს, თითქოს რუსეთმა დაბომბა, მაგრამ ვიცი, რომ რუსეთის ჯარი არავითარ შემთხვევაში მშვიდობიან მოსახლეობას არ დაბომბავს“.

ქალი, 67 წლის, უმუშევარი, ახალქალაქი: „აფხაზეთის შემთხვევა გამახსენდა, როდესაც აღნიშნავდნენ, რომ რუსეთმა მისი ოკუპაცია მოახდინა. ჩემთვის ნათელი იყო, რომ რუსი მესაზღვრეების დაბომბვის შემდეგ რუსული მხარე იძულებული გახდა შეჭრილიყო. მოსახლეობის 80%-ს სურდა რუსეთის მოქალაქეობა მიეღო, ხოლო 20% ძალიან ცუდად ლაპარაკობდა რუსეთის შესახებ. ჩემთვის ეს მიუღებელი იყო“.

კაცი, 68 წლის, თვითდასაქმებული, ახალქალაქი: „ბატონი სააკაშვილის მმართველობის პერიოდში შეიჭრნენ და საკუთარი ხალხი გაანადგურეს. რუსები მოვიდნენ და მათ წაართვეს ეს ტერიტორია, რათა ბოლომდე არ გაენადგურებინათ. ბოლოს ისე გაავრცელეს, თითქოს რუსეთი საქართველოს თავს დაესხა. მაგრამ **რუსეთს რომ სდომებოდა, საქართველოს ორ დღეში აიღებდა.** [რუსეთი] მოვიდა, წაართვა მათ ხალხი და უკან დაბრუნდა. **ისევ არასწორი ინფორმაცია და ისევ დასავლური პროპაგანდა.** ხოლო სააკაშვილი დღემდე არ აღიარებს, რომ თავად თავს დაესხა. მაგრამ ჩვენ ხომ ყველამ ვნახეთ, რომ ის იყო თავდამსხმელი. **ჩვენ არ ვიხილეთ, თუ როგორ ადამიანებს დაძინებულებს კლავდნენ?** ვიხილეთ. როგორ ხდება, რომ თქვენთან შავი თეთრია და პირიქით“.

2008 წლის ომთან მიმართებით გაკეთებული განცხადებები, რომ საქართველო მსხვერპლს აყალბებდა, თანხვედრაშია კრემლის პროპაგანდისტული გამოცემების მტკიცებებთან, რომელიც უკრაინის მსგავსად საქართველოს შემთხვევაშიც საკუთარი პასუხისმგებლობის სხვაზე გადატანას ცდილობდა[4].

არის თუ არა ხელისუფლება ჭრონუსული და იკანიშვილი ოლიგარქი?

რესპოდენტთა ნაწილმა (15) დეზინფორმაციად მიიჩნია „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პრორუსულობის შესახებ შეფასებები, ასევე მტკიცებები იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთისთვის იარაღის მიწოდება ხდებოდა (3). ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ვითარების გამწვავება არ სურს და ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს, ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, სულაც არ ნიშნავს, რომ მისი კურსი პროდასავლური არ არის და მას ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია არ სურს:

ქალი, 25 წლის, უმუშევარი, ბათუმი: „მე ვფიქრობ, რომ უფრო [ხელისუფლებას] ნეიტრალიტეტი აქვს აღებული: არც სურს, რომ რუსეთთან ურთიერთობა იმ მხრივ გაიმწვავავოს, რომ რუსეთი შემდგომ შემოიჭრას საქართველოს ტერიტორიაზე და ამ მხრივ თავდაცვა ჩვენი მთავრობის მხრიდან არის, რომ მათ არ სურთ, რომ უკრაინის მაგალითი განმეორდეს საქართველოში, თუმცა ვფიქრობ, რომ საქართველოს კურსი მაინც არის პროდასავლური და ჩვენ ვართ და გვსურს გავხდეთ ევროპის ნაწილი და გავწევრიანდეთ ნატოში, ევროკავშირში და ეს სურვილი, ყოველ შემთხვევაში, არის და წინ გადადგმული ნაბიჯებიც გამოიკვეთა ბოლო პერიოდში“.

[4] მითების დეტექტორი, 29 ივნისი, 2018. როგორ ცდილობს რუსული პროპაგანდა აგვისტოს ომის ამსახველი ფოტოების ეჭვქვეშ დაყენებას https://mythdetector.ge/ka/rogor-tsdilobs-rusuli-propaganda-agvistos-omis-amsakhveli-photoebis-etchvqvesh-daghenebas/

კაცი, 33 წლის, უმუშევარი, ზუგდიდი: „ალბათ ის, რომ ჩვენ რუსეთის მოკავშირეები ვართ. ცოტა რთული ამბავია ეგ, მედიები იმდენ ცუდს და არასწორს ავრცელებენ“.

ქალი, 37 წლის, მასწავლებელი, ზუგდიდი: „ის, რომ პრემიერი შეკრულია პუტინთან და რომ აქაც აპირებენ შემოჭრას“...

ერთ-ერთმა რესპოდენტმა ასევე ოპოზიციის მიერ გავრცელებულ სიცრუედ მიიჩნია მტკიცება იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მიერ განხორციელებულ ბორდერიზაციის პროცესზე არ რეაგირებს.

კაცი, 73 წლის, თვითდასაქმებული, თელავი: „ოპოზიციამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს ბორდერიზაციის პროცესზე, რომ რუსები ყოველთვის საზღვარს სწევენ საქართველოს ტერიტორიაზე, რომ საქართველოს მთავრობა არ იღებს მონაწილეობას, ეს არის მტკნარი სიცრუე“.

მმართველი პარტიის პრორუსულობის გარდა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა საეჭვოდ მიიჩნია მტკიცება „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქობის შესახებ, რადგან მისთვის ის ქველმოქმედებასთან ასოცირდება:

კაცი, 58 წლის, თვითდასაქმებული, ბათუმი: „პოლიტიკურ პროცესებთან ვრცელდება ივანიშვილი ოლიგარქიაო, არასწორია, ივანიშვილი არის ქველმოქმედი“.

თურქეთის „საფრთხე“

როგორც აღინიშნა, თურქეთის შესახებ გავრცელებული ყალბი ცნობების მიმართ ყველაზე მაღალი მგრძნობელობა ეთნიკური სომხებით დასახლებულ ახალქალაქში გამოიკვეთა, ერთ შემთხვევაში კი თურქეთის მოსაზღვრე აჭარის რეგიონში (ბათუმი). თურქეთის სამხედრო ბაზის განთავსების შესახებ დეზინფორმაცია ახალქალაქში წარსულში განთავსებულ რუსეთის სამხედრო ბაზასთან და მისი თურქულით ჩანაცვლების პერსპექტივასთან ასოცირდებოდა, რაც ნატოს წინააღმდეგ გავრცელებული დეზინფორმაციული ნარატივის ნაწილია, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ინტეგრირება თურქული ბაზის სამცხე-ჯავახეთში განთავსებას და ისტორიული ტრავმის გამო ადგილობრივ სომხებსა და თურქებს შორის კონფლიქტის გამწვავებას მოასწავლებს[5].

[5] მითების დეტექტორი, 13 ოქტომბერი, 2021. „კრემლის დეზინფორმაციას ნატო=თურქეთის ჯარის საქართველოში განთავსებას „ალტ-ინფოც“ იმეორებს“ https://mythdetector.ge/ka/kremlis-dezinphormatsias-nato-thurqethis-jaris-sagarthveloshi-ganthavsebas-alt-inphots-imeorebs/

ქალი, 33 წლის, საჯარო სამსახურის თანამშრომელი, ახალქალაქი: „აქ ჩვენთან ყოფილი რუსული სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე არის აშენებული ახალი ცენტრი. გავიგეთ, რომ თურქეთი იქ ჯარს ამზადებს და მისი ბაზაც მალე განთავსდება, მაგრამ მერე გაირკვა, რომ იქ სამხედრო სასწავლო ცენტრია“.

გარკვეულ შემთხვევებში რესპონდენტები, მეტწილად ახალქალაქიდან, სამცხე-ჯავახეთში თურქების მიზანმიმართულ ჩასახლებაზე, ასევე წინა ხელისუფლების დროს თურქებისთვის მიწების მიყიდვაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რესპონდენტი აჭარიდან კი აჭარის თურქეთისთვის მიყიდვას ყალბ ინფორმაციად განიხილავდა, რაც წლებია რეგიონებზე მორგებული დეზინფორმაციული კამპანიის შემადგენელია:

ქალი, 56 წლის, კერძო სექტორში დასაქმებული, ახალქალაქი: „ამბობდნენ, რომ თურქები დიდ კომპლექსს აშენებენ. სახლებს აშენებენ კარწახის საზღვართან და აქ [ახალქალაქში] დაიწყება მათი შემოსევა. ავრცელებენ, თითქოს ამას გამიზნულად აკეთებენ, რათა სომხები ააღელვონ, რომ თურქები შემოვლენ. ჯერჯერობით ასეთი არაფერი ხდება. უკვე ოთხი წელია გასული“.

ქალი, 33 წლის, საჯარო სამსახურის თანამშრომელი, ახალქალაქი: „ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს სააკაშვილმა თურქებს მიწები გაყიდა“.

ქალი, 25 წლის, საჯარო სამსახურის თანამშრომელი, ბათუმი: „თუნდაც ის, რომ აჭარის გაყიდვას აპირებენ, ანუ თურქეთს უნდა მიყიდონ რაღაცა ტერიტორიის ნაწილი, ეს რა თქმა უნდა აბსურდია“.

იდენტობის დაკარგვის „საფრთხე“

დასავლეთში, განსაკუთრებით ევროკავშირში ინტეგრირების შემთხვევაში, ეროვნული, რელიგიური და სექსუალური იდენტობის დაკარგვის საფრთხე დეზინფორმაციად ყველაზე მეტმა რესპონდენტმა დაასახელა (23), მათ შორის მეტწილად 18-35 წლის ასაკობრივი ჯგუფიდან. ორ შემთხვევაში კი ასეთ დებულებას მცდარად საჯარო სამსახურის თანამშრომლები განიხილავდნენ, მეტწილად საჯარო სამართლის იურიდიული (სსიპ) სამსახურებიდან:

ქალი, 24 წლის, სტუდენტი, თელავი: „ქართულ იდენტობას დავკარგავთ იმ შემთხვევაში, თუ კაცები ყურს გაიხვრეტენ, ტატუს გაიკეთებენ, თმას შეიღებავენ. ასევე კაცები ქართულ იდენტობას დაკარგავენ, თუ „ქალის საქმეს“ გააკეთებენ (მაგალითად, სარეცხი, სამზარეულო). რომ ქართველობა არის მხოლოდ კაცობა და ღვინის დალევა“.

კაცი, 23 წლის, სტუდენტი, თბილისი: „ქართულ იდენტობასთან დაკავშირებით მსმენია ის დეზინფორმაცია, რომ ქართულ იდენტობაში ყოვლად დაუშვებელია განსხვავებული სექსულური ორიენტაციის ადამიანების არსებობა“.

ქალი, 25 წლის, საჯარო სამსახურის თანამშრომელი, ზუგდიდი: „იდენტობა მტკივნეული თემაა. ქართველობას გვართმევენ, თუ ევროკავშირში შევალთ, ქართველობას გვართმევენ, თუ მოხდება მეტად გააქტიურება ახალგაზრდების, ქართველობას გვართმევენ, თუ მოხდება გამოსვლები, პროტესტის გამოთქმა, ყველა კუთხით და ყველა რაკურსით შეიძლება დავკარგოთ ქართველობა ოდესმე“.

ქალი, 45 წლის, საჯარო სამსახურის თანამშრომელი, თელავი: „რაც უფრო ევროპული სახელმწიფო ვიქნებით და რაც უფრო პატივს ვცემთ, ტოლერანტები ვიქნებით და ვაღიარებთ მრავალფეროვნებას, გაქრება ერი, გადაგვარდება, გადაჯიშდება, მაგრამ ეს ყველაფერი არის დიდი სისულელე“.

ამასთანავე, ერთ-ერთმა რესპონდენტმა ღიად განაცხადა, რომ იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეკლესიასთან, ქართულ ტრადიციებთან, ოჯახურ სიწმინდეებთან და ქალიშვილობის ინსტიტუტთან ბრძოლა მიმდინარეობს.

კაცი, 48 წლის, მძღოლი, ზუგდიდი: „მაგალითად, ეკლესიას ებრძვიან. ყველაფერს დასცინიან, ქართული რაც არის, ტრადიციული რაც არის. ელემენტალური რომ ავიღოთ, ქალიშვილობის ინსტიტუტი დასაცინი გახდა, ოჯახის სიწმინდე დასაცინი გახდა, ბავშვის აღზრდა...“

ერთ-ერთი ქუთაისელი პედაგოგის აზრით კი, წინააღმდეგობის მიზეზი არის ის, რომ დასავლეთს საკუთარი ცხოვრების წესის თავსმოხვევა სურს, რაც მექანიკურად არ უნდა მოხდეს და მხოლოდ ქართული ტრადიციებისა და დასავლეთური კულტურის თანაარსებობით უნდა დაიძლიოს:

კაცი, 66 წლის, მასწავლებელი, ქუთაისი: „დასავლეთს უნდა ჩვენც ცხოვრების ისეთი წესი გვქონდეს, როგორიც თვითონ აქვს. აქ არის წინააღმდეგობა ზუსტად. ჩვენი ამოცანაა შევუხამოთ ჩვენი ტრადიციები დასავლეთის დიდ კულტურას და ვიპოვოთ ჩვენი განვითარება. არ შეიძლება ცხოვრების წესის, პოლიტიკის ეკონომიკის პირდაპირი ექსპორტი შენს ქვეყანაში“.

აღსანიშნავია ისიც, რომ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დასავლეთზე გავრცელებულ ამ დეზინფორმაციულ მტკიცებასთან ერთად, გარკვეული სტერეოტიპული შეფასებებიც დაფიქსირდა. მაგალითად აჭარაში, სადაც ეთნიკური ქართველი მუსლიმები ცხოვრობენ, რამდენიმე რესპონდენტმა დეზინფორმაციად მიიჩნია მტკიცება, რომ ქართული იდენტობა მხოლოდ

მართლმადიდებლობასთან ასოცირდებოდა. ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ გარდაბანში კი რამდენიმე რესპონდენტმა დეზინფორმაციულად შეაფასა მტკიცება, რომ ქართველები ნაციონალისტები არიან, სხვა ეროვნებები არ უყვართ, ხოლო აზერბაიჯანელების მიმართ ქედმაღლური დამოკიდებულება ახასიათებთ.

ქალი, 38 წლის, კერძო სექტორში დასაქმებული, ბათუმი: „თუნდაც ის, რომ დასავლეთი ქართველობას გვართმევს, დასავლეთისკენ თუ გავიხედავთ, ამ შემთხვევაში უკვე ქართველობა წართმეული გვაქვს; ან თუნდაც ის, რომ თუ ხარ ქართველი, მაინცდამაინც უნდა იყო მართლმადიდებელი, ბევრისთვის ქართველი ასოცირდება მართლმადიდებლობასთან; ასევე, გამიგია დეზინფორმაცია, რომ გლობალიზაციამ შეიწირა ქართული ტრადიციები და კულტურა“.

კაცი, 70 წლის, მასწავლებელი, გარდაბანი: „ქართველებს სხვა ეთნოსები არ უყვართ, ქართველი ხალხი ქედმაღალია. მაგრამ ეს ასე არ არის, წლებია ქართველებთან ერთად ვმუშაობ, მათ ასეთი რამ არ ახასიათებთ“.“

ერთ-ერთმა რესპონდენტმა ეთნიკური აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებული გარდაბნიდან ყურადღება გაამახვილა დეზინფორმაციაზე, რომელიც ევროსკეპტიციზმის გაღვივების მიზნით ვრცელდება და ამტკიცებს, რომ ევროკავშირში ინტეგრაციის შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების უფლებები დაცული არ იქნება:

კაცი, 37 წლის, საჯარო სამსახურის თანამშრომელი, გარდაბანი: „დეზინფორმაცია ბევრია, მაგრამ ეს უფრო დამამახსოვრდა, რომ ევროკავშირში გაწევრიანებისას საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებები დაცული არ იქნება“.

მართლმადიდებელი ეკლესია

რამდენიმე რესპონდენტმა ასევე სიყალბედ მიიჩნია შეფასებები მართლმადიდებელი ეკლესიის პოლიტიკური გავლენის და სეკულარიზმის პრინციპის დარღვევის შესახებ:

ქალი, 38 წლის, კერძო სექტორში დასაქმებული, ბათუმი: „ბოლო პერიოდში ხშირად შემხვედრია, რომ მართლმადიდებელი ეკლესია მართავს ქართულ პოლიტიკას“.

კაცი, 73 წლის, თვითდასაქმებული, თელავი: „მაგალითად, მართლმადიდებლური ეკლესია ერევა სახელმწიფოს მმართველობაში, ეს არის მტკნარი სიცრუე. პირიქით, ხალხის მობილიზაცია ხდება, ეკლესია ხელს უწყობს, რომ ქართული იდენტობა დამკვიდრდეს“.

დეზინფორმაციის სხვა კონკრეტული მაგალითები

რესპონდენტებმა ასევე დეზინფორმაციის სხვა ცალკეული მაგალითებიც გაიხსენეს, როგორიცაა „შინ ევროპისკენ“ აქციების მონაწილეებისთვის ფულის გადახდა, შაქრის მარაგის ამოწურვა და სხვა.

ერთ-ერთმა ახალგაზრდა მონაწილემ თბილისიდან ასევე გაიხსენა შემთხვევა, რომელმაც კარგად აჩვენა, თუ როგორი მოწყვლადი შეიძლება იყოს მცდარი ინფორმაციის გავრცელების მხრივ ტრადიციული მედია, რომელიც სოციალურ ქსელების ინფორმაციას გადამოწმების გარეშე აქვეყნებს, იმისდა მიუხედავად, იკვეთება თუ არა შინაარსში ზიანის მიყენების განზრახვა. ამის საილუსტრაციოდ რესპონდენტმა მოიყვანა მაგალითი, როცა სოციალური ქსელის ერთ-ერთმა ქართველმა მომხმარებელმა პირად ფეისბუქ გვერდზე გამოაქვეყნა ახალგაზრდა გოგოს ფოტო, თანდართულ ტექსტში კი გაავრცელა ინფორმაცია ახალგაზრდა ქართველის წარმატების შესახებ, რომელმაც ამერიკაში გამოცდები იმდენად მაღალი ქულებით ჩააბარა, რომ წამყვანი უნივერსიტეტები მის კანდიდატურას ერთმანეთს ეცილებოდნენ. რამდენიმე მეინსტრიმულმა ონლაინ მედია საშუალებამ ეს ინფორმაცია გადამოწმების გარეშე გამოაქვეყნა[6], მოგვიანებით კი გაირკვა, რომ პოსტის ავტორი პირად ფეისბუქზე ხუმრობდა, ხოლო გოგონას ვიზუალი, რომელიც პოსტს თან ერთვოდა, რეალურად პორნოვარსკვლავს ეკუთვნოდა.

ქალი, 23 წლის, თბილისი: „უცებ ხალხმა ისე აიტაცა და გაავრცელა და გადააზიარა, რომ ძალიან სასაცილო ფაქტი იყო, სამი დღის შემდგომ რომ გავიგეთ რეალური ამბავი, რაც ხდებოდა“.

აღსანიშნავია, რომ საწყისი პოსტი ფეისბუქ მომხმარებელმა 30 აგვისტოს გამოაქვეყნა, მომდევნო დღეებში კი ინფორმაცია სხვადასხვა მედიებმა ფოტოს თანხლებით გაავრცელეს. გავრცელებული

[6] მითების დეტექტორი, 10 ნოემბერი. „როგორ იქცნენ ცნობილი პორნოვარსკვლავები წარმატებულ ქართველ აბიტურიენტებად?“ https://mythdetector.ge/ka/rogor-igtsnen-tsnobili-pornovarskvlavebi-tsarmatebul-garthvel-abiturientebad/

ინფორმაციის ყალბი შინაარსის შესახებ არა ტრადიციული მედიიდან, არამედ სხვა ფეისბუქის მომხმარებლის 1 სექტემბრის პოსტიდან გახდა ცნობილი, რის შემდეგაც ბევრმა ინფორმაცია ჩასწორების გარეშე წაშალა, თუმცა ზოგიერთ პორტალზე მასალა ჩასწორების გარეშე ისევ ხელმისაწვდომია.

ინფორმაციის წყაროები. კითხვაზე, თუ ვინ ავრცელებს ძირითადად ყალბ ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ყველაზე მეტმა რესპონდენტმა ოპოზიცია (33) დაასახელა, შედარებით ნაკლებმა (11) – ხელისუფლება, რაც სახელისუფლებო პროპაგანდის უფრო დიდი შესაძლებლობებით შეიძლება აიხსნას. თუ ხელისუფლების დეზინფორმაციის წყაროდ დასახელების მონაცემი ყველა ქალაქში თითქმის თანაბარი იყო, ოპოზიციის დეზინფორმაციის წყაროდ მიჩნევის მაჩვენებლი ყველაზე მაღალი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ გარდაბანსა (9) და ახალქალაქში (8), ასევე ბათუმში (7) იყო. დეზინფორმაციის წყაროდ მედიაც (21) დასახელდა, რაც გარკვეულ შემთხვევებში სახელისუფლებო და ოპოზიციურ მედიასაც გულისხმობს, თუმცა მეტწილად რესპონდენტები მხოლოდ მედიას უთითებდნენ და არ აკონკრეტებდნენ მათ სარედაქციო პოლიტიკას. დეზინფორმაციის წყაროდ დასახელდა რუსული მხარეც (20) და რუსული მედია (8), ცალკეულ შემთხვევებში კი რუსეთთან დაკავშირებული კონსერვატიული პარტიები – ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა და ქართული მარში (5). რამდენიმე შემთხვევაში დეზინფორმაციის წყაროდ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც (4) დაასახელეს.

დიაგრამა 17. დეზინფორმაციის წყარო საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით რესპონდენტთა აღქმით



2.3. ჯანმრთელობა

ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებით, რესპონდენტებმა ყველაზე მეტი რაოდენობის ყალბი ამბავი დაასახელეს, რომელთაგანაც დომინირებდა კონსპირაცია იმის შესახებ, რომ ვაქცინა დაჩიპვას, 5G ანტენის დაჭერას განაპირობებს (22), კორონავირუსი ხელოვნურად შექმნილი ბიოლოგიური იარაღია (20); ვაქცინა საზიანოა/კლავს (15), ვაქცინა უნაყოფობას იწვევს (15), კოვიდი არ არსებობს (13) და სხვა. რესპონდენტთა ნაწილი ლუგარის ლაბორატორიასა და ამერიკელების მიერ კოვიდის შექმნაზეც (6) ამახვილებდა ყურადღებას:

ქალი, 55 წლის, თვითდასაქმებული, გარდაბანი: „კორონავირუსის გავრცელებისას გავიგე დეზინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლუგარის ლაბორატორიაში ვირუსი მზადდება, რომელსაც საქართველოში ავრცელებენ“.

ქალი 56 წლის, მასწავლებელი, თელავი: „ძირითადად აცრებთან დაკავშირებული დეზინფორმაცია. მაგალითად, ვაქცინით შეჰყავთ ჩიპი. 5G-ზე მსმენია, რომ ეს ძალიან საშიშია. მახსოვს როგორ გავრცელდა ყალბი ინფორმაცია ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით, რომ აქ მზადდება ვირუსები, რომლებსაც უშვებენ და ამ ლაბორატორიას ამერიკელები ექსპერიმენტებისთვის იყენებენ“.

ქალი, 23 წლის, თვითდასაქმებული, ბათუმი: „იყო ასეთი ინფომაცია, რომ კოვიდი არის შექმნილი იმისათვის, რომ მოხდეს მოსახლეობის შემცირება, პირველი ეს იყო, რაც მქონდა გაგებული, მეორე ის, რომ ვაქცინები არ უნდა გაიკეთო, ის ცუდია და იმუნიტეტს გისუსტებს და მესამე, რაც არ უნდა მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყოს, თუ გაიკეთებ აცრას, ეს იმას ნიშნავს, რომ იქნები დაჩიპული“.

დიაგრამა 18. ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული დეზინფორმაცია რესპონდენტთა ალიბით



ისევე როგორც უკრაინის შემთხვევაში, რესპონდენტთა ნაწილმა სანდოდ მიიჩნია კოვიდპანდემიასთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებული ყალბი ცნობები და კონსპირაციული დებულებები. ყველაზე მეტმა სანდოდ ჩათვალა ცნობა იმის შესახებ, რომ კოვიდსტატისტიკას აყალბებენ (10), კოვიდი არ არსებობს და ეს თემა გაზვიადებულია (9), ვაქცინა საზიანოა/კლავს (8), ვაქცინა მოსახლეობის, მათ შორის პენსიონერების, შესამცირებლად შეიქმნა:

ქალი, 62 წლის, თვითდასაქმებული, ზუგდიდი: „მე, მაგალითად, კოვიდს არ ვენდობი და არც ნემსი არ გამიკეთებია. კოვიდის არსებობა ეს ჩემთვის დეზინფორმაციაა“.

კაცი, 68 წლის, თვითდასაქმებული, ახალქალაქი: „მაგალითად, პანდემიის პერიოდში ადამიანი ინფარქტის შედეგად კვდებოდა, ხოლო დასკვნაში წერდნენ, თითქოს ვირუსი ჰქონდა. მე გამიგია, რომ ვირუსის შემთხვევაში მკურნალობის დაფინანსებას იღებდნენ, დიდ თანხებზეა საუბარი. გარდა ამისა, თუ 10 ადამიანი ვირუსის შედეგად გარდაიცვალა, ინფარქტით გარდაცვლილებსაც მაგ კატეგორიაში სვამდნენ და ავრცელებდნენ, რომ ამდენი და ამდენი ადამიანი კორონავირუსისგან გარდაიცვალა“.

ქალი, 43 წლის, თვითდასაქმებული, ქუთაისი: „დეზინფორმაციის მეტი რა იყო კოვიდის დროს, ამდენი ხალხი ჩახოცეს. არასწორი პროტოკოლი და ყველაფერი“.

დიაგრამა 19. ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული დეზინფორმაცია, რომელთაც რესპონდენტები სანდოდ მიიჩნევენ



ინფორმაციის წყაროები. ჯანმრთელობის საკითხებზე დეზინფორმაციის წყაროდ ყველაზე ხშირად საზოგადოება(26), სოციალური მედია (22) და ანტივაქსერები (20) დასახელდნენ. 14-მა რესპონდენტმა მედიკოსები და ჯანდაცვის ადმინისტრაცია დაასახელა, ამასთანავე რესპონდენტებმა 14-დან მხოლოდ 3 შემთხვევაში გაამახვილეს ყურადღება იმაზე, რომ ისინი ანტივაქსერ მედიკოსებს გულისხმობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიცია (7) დეზინფორმაციის წყაროდ უფრო მეტჯერ დასახელდა, ვიდრე მთავრობა (3), სასულიერო პირები კი – 6 შემთხვევაში.

დიაგრამა 20. დეზინფორმაციის წყარო ჭანგრთველობასთან დაკავშირებულ საკითხებზე რესპონდენტთა ალქმით



WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.MILLAB.GE

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.MILLAB.GE